## კ ა ნ ო ნ ი

### რესპუბლიკის ცენტრალი სამეცნიერო არქივის დაარსებისა.

I. დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის მარტის I-დან ქალ.ტფილისში სახალხო განათლების სამინისტროსთან რესპუბლიკის ცენტრალი სამეცნიერო არქივი ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად.

2. პირველი /I/ მუხლში აღნიშნული ცენტრალი სამეცნიერო არქივის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის საჭიროებისათვის გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის მარტის I-დან ივნისის I-მდე ორას ორმოცდა თორმეტი ათას ცხრაასი /252.900/ მანეთი.

3. გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ერთდროულად ექვსასი ათასი /600.000/ მანეთი სხვა და სხვა ადგილის არქივების ქ.ტფილისში გადმოსატანად.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ.აპრილის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ა მ ხ ა ნ ა გ ი

რესპუბლიკის მთავრობის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

საქართველოს ეროვნული არქივი